

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის სხდომის

ოქმი №1

2020 წლის 21 იანვარი, 11:30 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე - ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე -
ომარ მირზოშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის)
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი ღამბაშიძე.

-1-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ. (მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული ქონება - ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალება - FOTON, ტიპი -
სპეციალიზებული, სარეგისტრაციო ნომერი VL 558 VL, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი
განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის
ცენტრს“).

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მომხრე-7, წინააღმდეგი-0.

გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

-2-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - სოფ. ჭიაურში მდებარე, სასოფლო-
სამეურნეო დანიშნულების (სადოვარი) 46749 კვ.მ მიწის (ს/კ 54.19.62.004), შპს „ფაუნა“-სათვის,
სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, 20 (ოცი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით,
იჯარით გაცემის თაობაზე. წლიურ საიჯარო ქირად, განისაზღვროს 260,00 ლარი.

/მომხს: ო. მირზოშვილი/

*კომისიის 7 წევრმა მხარი არ დაუჭირა აღნიშნული ფორმით ქონების იჯარით გაცემას. მათ
მიაჩნიათ, რომ პრიორიტეტულია მოსახლეობის ინტერესის მაქსიმალურად გათვალისწინება.*


კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -7,წინააღმდეგი-0),

გადაწყვიტეს:

საკითხი არ იქნას გატანილი ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე;
მიეცეს რეკომენდაცია მერს, აღნიშნული ქონება გაიყოს იჯარის ფორმით აუქციონის გზით, ან
მოხდეს სოფლის ინტერესის მაქსიმალურად გათვალისწინება.

ეკონომიკისა და ქონების მართვის
კომისიის თავმჯდომარე

მ.



ომარ მირზოშვილი